დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მორფოლოგიურ მეცნიერებათა დარგში აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის მედლისა და პრემიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - უნივერსიტეტი) აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის მედალი (შემდეგში - მედალი) და პრემია (შემდეგში - პრემია) წესდება უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის (შემდეგში - მორფოლოგიის ინსტიტუტი) ინიციატივით.

მუხლი 2. აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის მედალი

1. აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის მედალი (დანართი №2) წარმოადგენს კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულ საპატიო ჯილდოს.

2. მედალი შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს მორფოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ან მორფოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების განსაკუთრებული ხელშეწყობისათვის.

3. ნომინანტის წარდგენა შესაბამისი განცხადებით შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. ნომინანტის უნივერსიტეტში წარდგენა ხდება მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში უნივერსიტეტის კანცელარიაში მათი რეგისტრაციის გზით.

4. მედლის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.

5. მედალი ასევე გადაეცემა აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის პრემიის მფლობელს.

მუხლი 3. პრემიის მინიჭების პროცედურა

1. პრემიის გადაცემა ხდება უნივერსიტეტის მიერ 2 წელიწადში ერთხელ, საპრემიო წლის მაისის თვის ბოლო შაბათ დღეს. პირველი პრემია გაიცემა 2017 წელს.

2. პრემია შეიძლება მიენიჭოს ავტორს ან ავტორთა ჯგუფს ბოლო სამი წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ან ნაშრომთა ციკლისათვის (აღნიშნული მიზნისთვის სამეცნიერო ნაშრომად განიხილება სტატია, თეზისი, მონოგრაფია და/ან მონოგრაფიის თავი).

3. კონკურსი ცხადდება და საკონკურსო კომისია უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტის წარდგინებით მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და

განცხადება პრემიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე კონკურსამდე არაუგვიანეს 2 თვისა.

4. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია სამედიცინო ან საბუნებისმეტყველო განათლების მქონე პირს, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს ექსპერიმენტული და/ან კლინიკური მორფოლოგიის რომელიმე დარგში (აღწერილობითი, კლინიკური და ექსპერიმენტული ანატომია, ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია, პათოლოგიური ანატომია).

5. პრემიის მიღების მიზნით დოკუმენტაციის უნივერსიტეტში წარმოდგენა ხდება მორფოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში უნივერსიტეტის კანცელარიაში მათი რეგისტრაციის გზით რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ დოკუმენტაცია (ნაშრომი) განსახილველად აღარ მიიღება.

6. წარმოდგენილ ნაშრომებს აფასებს და პრემიის მინიჭებაზე გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია.

7. საკონკურსო კომისია მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით. კომისია შედგება დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე 5 პირისაგან.

8. კომისია განსაზღვრავს თავისი მუშაობის წესს, პირველ სხდომაზე ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, იგი გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე, ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

9. გადაწყვეტილება პრემიის მინიჭებაზე კომისიის მიერ მიიღება არაუგვიანეს საპრემიო წლის 20 მაისისა და ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს. პრემია ენიჭება ერთი საუკეთესო ნაშრომის (ნაშრომთა ციკლის) ავტორს (ავტორებს).

10. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შეყვანილ იქნენ პირები, რომელთა ნაშრომები წარდგენილია პრემიის მიღების მიზნით, ასევე პრემიაზე წარდგენილი ნაშრომის რედაქტორი/რეცენზენტი.

11. ერთსა და იმავე პირს არ შეიძლება მიენიჭოს პრემია ზედიზედ ორჯერ.

მუხლი 4. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

1. პრემიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიის (სტატიების) ქსეროასლი – ჟურნალის სატიტულო გვერდის, გამომცემლობისა და ქვეყნის ჩვენებით,

ინტერნეტმისამართი (თუკი ასეთი არსებობს);
ბ) ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული თეზისის ქსეროასლი – ჟურნალის (ან კრებულის) სატიტულო გვერდის, გამომცემლობისა და ქვეყნის ჩვენებით, ინტერნეტმისამართი (თუკი ასეთი არსებობს);
გ) ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული მონოგრაფიის და/ან მონოგრაფიის თავის ქსეროასლი – სატიტულო გვერდის, გამომცემლობისა და ქვეყნის ჩვენებით, ინტერნეტმისამართი (თუკი ასეთი არსებობს).

2. პრეტენდენტი წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ავსებს დადგენილების №3 დანართით დამტკიცებულ ფორმას, რომელსაც ხელმოწერილს აბარებს საკონკურსო ნაშრომებთან ერთად.

3. წარმოდგენილი ნაშრომი ფასდება დადგენილების №4 დანართით დამტკიცებული წესით.

მუხლი 5. პრემიის მინიჭება და პრემირებული პირის დაჯილდოება
1. პრემია 2500 ლარის ოდენობით (მორფოლოგიის ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან) კომისიის შეფასების საფუძველზე გადაეცემა გამარჯვებული ნაშრომის ავტორს საპრემიო წლის მაისის თვის ბოლო შაბათ დღეს.

2. კონკურსში გამარჯვებულს, პრემიასთან ერთად გადაეცემა აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის მედალი და შესაბამისი სერტიფიკატი, რომელსაც ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი, მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სერტიფიკატის ნიმუში მტკიცდება რექტორის ბრძანებით, მორფოლოგიის ინსტიტუტის წარდგინებით.

მუხლი 6. წესში შესატანი ცვლილებები და დამატებები
წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნინო ჯავახიშვილის მედალი

დიამეტრი 6 სმ.

სისქე 3,8 მმ

დანართი №3

კონკურსანტის სახელი, გვარი, თანამდებობა				
ნაშრომები			IF	ქულა
სტატიები	ნაშრომი გამოქვეყნებული ა) Thomson Reuters–ის იმფაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში			
	ნაშრომი გამოქვეყნებული PubMed–ის ან Scopus–ის ბაზაში ინდექსირებულ და/ან SJR-ის არანაკლებ Q3 კატეგორიის ჟურნალში			
	ნაშრომი გამოქვეყნებული სხვა ჟურნალში			
თეზისები	ნაშრომი გამოქვეყნებული ა) Thomson Reuters–ის იმფაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში (ან კრებულში)			
	ნაშრომი გამოქვეყნებული PubMed–ის ან Scopus–ის ბაზაში ინდექსირებულ და/ან SJR-ის არანაკლებ Q3 კატეგორიის ჟურნალში (ან კრებულში)			
	ნაშრომი გამოქვეყნებული სხვა ჟურნალში ან კრებულში			
მონოგრაფია (თავი მონო–გრაფიაში)	უცხოეთში გამოქვეყნებული			
	საქართველოში გამოქვეყნებული			
საკონკურსო წლებში გამოქვეყნე–ბულ ნაშრომების ციტირების ინდექსი				

დანართი №4

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების წესი

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ფასდება შემდეგნაირად:

1. სტატია გამოქვეყნებული ა) Thomson Reuters–ის იმფაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში - 5 ქულა; ბ) PubMed–ის ან Scopus–ის ბაზაში ინდექსირებულ და/ან SJR-ის არანაკლებ Q_3 კატეგორიის ჟურნალში - 3 ქულა; გ) სხვა ჟურნალებში - 1 ქულა; თუ სტატია გამოქვენებულია ჟურნალში, რომელსაც მინიჭებული აქვს სხვა ინსტიტუციის (არა Thomson Reuters–ის) იმფაქტ ფაქტორი, მისი შესაბამისი ქულა კომისიის წევრების მიერ განისაზღვრება ინდივიდუალურად; ამასთანავე ის არ შეიძლება იყოს 4–ზე მეტი.
2. კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენების თეზისი გამოქვეყნებული ა) Thomson Reuters–ის იმფაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში (ან კრებულში) - 2 ქულა; ბ) PubMed–ის ან Scopus–ის ბაზაში ინდექსირებულ და/ან SJR-ის არანაკლებ Q_3 კატეგორიის ჟურნალში (ან კრებულში) - 1 ქულა; თუ თეზისი გამოქვენებულია ჟურნალში (ან კრებულში), რომელსაც მინიჭებული აქვს სხვა ინსტიტუციის (არა Thomson Reuters–ის) იმფაქტ ფაქტორი, მისი შესაბამისი ქულა კომისიის წევრების მიერ განისაზღვრება ინდივიდუალურად; ამასთანავე ის არ შეიძლება იყოს 1–ზე მეტი.
3. მონოგრაფია ა) საქართველოში გამოქვეყნებული – 5 ქულა; ბ) უცხოეთში გამოქვეყნებული – 10 ქულა; გ) თავი მონოგრაფიაში - საქართველოში გამოქვეყნებული – 3 ქულა; დ) თავი მონოგრაფიაში – უცხოეთში გამოქვეყნებული – 5 ქულა.
4. საკონკურსო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომების ციტირების ინდექსი: 1-დან - 10-მდე - 1 ქულა; 11-დან - 20-მდე - 2 ქულა; 21-ზე მეტი - 3 ქულა.